სხდომა №30 8 აპრილი 2009წ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

საერთაშორისო ურთიერთობათა
და სტანდარტების სამსახურის

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

დამტკიცებულია სტუ-ს წარმომადგენლობითი
საბჭოს მიერ

_____2009წ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო
SENATE OF GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY

თბილისი
2009

საერთაშორისო ურთიერთობათა და სტანდარტების სამსახურის

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

1. ზოგადი ნაწილი

1.1. წინამდებარე დებულება წარმოადგენს სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის (შემდგომში – სტუ) შიდა ნორმატიულ დოკუმენტს და განსაზღვრავს საერთაშორისო ურთიერთობათა და სტანდარტების სამსახურის (შემდგომში – სამსახური) საქმიანობის ძირითად მიზანს და ამოცანებს, კომპეტენციის ფარგლებს, დაკისრებულ მოვალეობებს და პასუხისმგებლობის ფარგლებს.

1.2 საერთაშორისო ურთიერთობათა და სტანდარტების სამსახური წარმოადგენს სტუ-ს დამხმარე სტრუქტურულ ერთეულს, ექვემდებარება უშუალოდ რექტორს.

1.3. სამსახურს ხელმძღვანელობს უფროსი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს სტუ-ს რექტორი.

1.4. სამსახური თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კანონმდებლობისა და ნორმატიული აქტების, სტუ-ს წესდებისა და წინამდებარე დებულების საფუძველზე.

1.5. სამსახური თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს სტუ-ს სტრატეგიითა და პრაქტიკული გამოცდილებით.

1.6. წინამდებარე დებულებაში ცვლილებების და დამატებების შეტანას განიხილავს და ამტკიცებს წარმომადგენლობითი საბჭო.

2. მიზანი და ამოცანები

2.1. სამსახურის მიზანია, სტუ-ს დახმარება და რეკომენდაციების მიწოდება მისთვის სასურველი პარტნიორების მოზიდვასა და მათთან გრძელვადიანი, ლოიალური ურთიერთობების განვითარებაში.

2.2. დასახული მიზნის მისაღწევად სამსახურმა უნდა უზრუნველყოს შემდეგი ამოცანების გადაწყვეტა:

2.2.1. სტუ-ს მენეჯმენტის მართვის ხარისხის სისტემის განვითარების ხელშეწყობა

2.2.2. მართვის ხარისხის საერთაშორისო სისტემის (ე.წ. ISO სტანდარტის) სტუ-ში ჩამოყალიბება - დანერგვის ხელშეწყობა და შესაბამისი რეკომენდაციების მომზადება.

2.2.3. უნივერსიტეტის საქმიანობის საერთაშორისო სტანდარტებთან შეთანადების ხელშეწყობა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება;

2.2.4. საერთაშორისო პროექტების მოძიებისა და აკადემიური პერსონალისა და სტუდენტობისთვის შეთავაზების ხელშეწყობა;

2.2.5. საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხების გადაწყვეტის ხელშეწყობა, როგორც სტუ-ს შიგნით ისე, მის ფარგლებს გარეთ როგორც ელექტრონული, ისე ბეჭდური ფორმით ინფორმაციების მიწოდება;

2.2.6. უცხოურ პარტნიორებთან თანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულებებისა და მემორანდუმების მომზადება.